დანაშაულის სტატისტიკა საქართველოში

(განვითარების ეტაპები და ქრონოლოგია)

Information Center

საინფორმაციო ცენტრი

2003 - 2013

შესავალი

გაზრდილი საზოგადოებრივი ინტერესის შესაბამისად, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო წარმოადგენს დეტალურ ინფორმაციას ყველა საგამოძიებო უწყების სისხლის სამართლის ერთიანი სტატისტიკური ანგარიშგების, მისი განვითარების ეტაპების, მონაცემთა შეგროვების ტაქტიკური ხერხებისა და გაანგარიშების მეთოდოლოგიის შესახებ. დანაშაულის სტატისტიკა, ძირითადი და დამატებითი პრიორიტეტული პარამეტრების საფუძველზე, კონსოლიდირებულ რაპორტში აისახება დანაშაულის კლასიფიკაციის სტანდარტული სქემის შესაბამისად და მათ შორის ცალკე აღირიცხება ყველაზე მეტად გავრცელებული და საზოგადოებრივად რელევანტური დანაშაულები. ასეთი ტიპის ანგარიში ფარავს სისხლის სამართლის პროცესის დიდ ნაწილს, დანაშაულის ჩადენის მომენტიდან პირის ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემამდე, გარდა სასამართლო განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის, მსჯავრდებულის გათავისუფლების და საზოგადოებაში რეინტეგრაციის კომპონენტებისა. მისთვის სააღრიცხვო ერთეულს წარმოადგენს რაოდენობრივი და ტიპოლოგიური მაჩვენებლები "რეგისტრირებული დანაშაულის ფაქტის" შესახებ, აგრეთვე, მასთან გარკვეულ კომბინაციაში - "დანაშაულის ჩამდენი პირი".

ამასთან, წინსწრებით შევნიშნავთ და ქვემოთ დეტალურად განვმარტავთ მიზეზთა იმ ერთობლიობას, რომელთა გამოც, კატეგორიულად მიზანშეუწონელია კრიმინალური სიტუაციის გაუარესება-გაუმჯობესების დინამიკის პირდაპირი შეფასება მხოლოდ სხვადასხვა მეთოდოლოგიით გაანგარიშებული რაოდენობრივი მონაცემების ურთიერთშედარების საფუძველზე.

- სისხლის სამართლის სტატისტიკისათვის აუცილებელი მონაცემების შეგროვება-სისტემატიზაცია 2011 წლის ბოლომდე ხორციელდებოდა სააღრიცხვო სტატისტიკური ფორმების მეშვეობით. აღნიშნული პერიოდი პირობითად ორ ნაწილად უნდა დაიყოს, კერძოდ:

ა) 2005 წლამდე პერიოდი - როდესაც მოქმედებდა ადრინდელი (ე.წ. ”საბჭოური”) სახის 4 სხვადასხვა საღრიცხვო ფორმა;





ბ) 2005 – 2011 წწ. - განხორციელდა პროცესუალური მოქმედებების ამსახველი შესაბამისი საღრიცხვო ფორმების დანაწევრება-დეტალიზაცია, რის შედეგადაც მათი რაოდენობა გაიზარდა 13-მდე.

➢ გასათვალისწინებელია, ისიც, რომ ზოგადი ადმინისტრირების გაუმჯობესების ხარჯზე დიდწილად აღმოიფხვრა 2003 წლამდე ფართოდ გავრცელებული დანაშაულის დამალვის პრაქტიკა, რაც იძლეოდა მთელი რიგი ინსენუაციებისა და სპეკულაციების საშუალებას, შედეგად, სტატისტიკურ აღრიცხვიანობაში უმეტესად ხვდებოდა მხოლოდ ის დანაშაულები, რომელთა გარანტირებული გახსნის შესახებაც წინასწარვე იყო ცნობილი. აღნიშნული გარემოებიდან მომდინარეობს დანაშაულის გახსნის იმ პერიოდისათვის დამახასიათებელი უპრეცედენტოდ მაღალი მაჩვენებლებიც. ამასთანავე, როგორც წესი, სწორედ ასეთი ტიპის კრიმინალური შემთხვევები შუქდებოდა და ვრცელდებოდა მედია საშუალებებით.

➢მითითებული პერიოდის შემდგომ, მონაცემთა შეგროვების მეთოდიკისა და ტაქტიკური ხერხების დახვეწა-განვითარების პარალელურად, მიუხედავად კრიმინოგენული ვითარების გაუმჯობესებისა, ციფრობრივ გამოსახულებაში რაოდენობრივი მაჩვენებლები 2006 წლის ჩათვლით განუწყვეტლად უარესდებოდა, თუმცაღა, დროთა განმავლობაში, ლატენტურობის ხარისხის კლებიდან გამომდინარე, რეალური კრიმინალური სიტუაციის პოზიტიური დინამიკა და სტატისტიკური მონაცემები თანხვედრაში მოვიდა 2007 წლიდან.



➢მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, დასახელებულ სქემასაც გააჩნდა მთელი რიგი ხარვეზებისა, მაგალითად:

ა) სისრულე - ყველა საპროცესო მოქმედების შესაბამისი ბარათი ან არ ივსებოდა, ან ივსებოდა, მაგრამ დაუდევრობის, საფოსტო კავშირის გაუმართაობის თუ სხვა ორგანიზაციული პრობლემის გამო არ იგზავნებოდა სააღრიცხვო დანაყოფში;

ბ) სიზუსტე - გამომდინარე რიგი ფაქტორებიდან (მაგ: ფორმების საკმაოდ რთული ბუნების გამო რამდენიმე სააღრიცხვო ფორმას შორის ზღვარი ცალსახად არ იმიჯნებოდა და მათი შევსების ვალიდაციის სათანადო ხარისხი ვერ მიიღწეოდა; ტერიტორიული ქვემდებარეობის მიხედვით მიკუთვნების, გადაცემული ან გაერთიანებული საქმეების ამა თუ იმ დანაყოფისადმი მითვლის და ა.შ. წესები ერთგვაროვანი არ იყო და სხვა) მონაცემთა კორექტულობის უზრუნველყოფა ყველა შემთხვევაში ვერ ხერხდებოდა;



დანართი №4

დაუყოვნებლივ იქნება სისხლის სამართლის საქმის გაერთიანების ან გამოყოფისას და 72 საათის განმავლობაში იგზავნება ინფორმაციული უზრუნველყოფისა და ანალიზის სამმართველოში

ფორმა № 2ა

სისხლის სამართლის საქმის გაერთიანების ან გამოყოფის ალრიცხვის ბარათი

1. ბარათის წარმომდგენი _____
(საქმის მწარმოებელი ორგანოს დასახელება)

2. ინფორმაციული უზრუნველყოფისა და ანალიზის სამმართველოში შემოვიდა: "11" _____ 02 _____ 2011 წ.

3. წინასწარი გამოძიება დაიწყო: "03" _____ 2011 წ.

4. სისხლის სამართლის საქმის № 170110002

5. გაერთიანდა № _____ სისხლის სამართლის საქმესთან "_____" _____ 20___ წ.

6. გამოიყო № 170100104 სისხლის სამართლის საქმიდან "03" _____ 2011 წ.

გამომძიებელი _____ (სახელი, გვარი) ხელმოწერა _____ "___" _____ 20___ წ.

პროკურორი: _____ (სახელი, გვარი) ხელმოწერა _____ "03" _____ 2011 წ.

ბ.ა.

გ) ოპერატიულობა და დროულობა - მიუხედავად ბრძანებით განსაზღვრული 72 საათიანი ვადისა, როგორც წესი, ფორმების უმრავლესობა საინფორმაციო ცენტრში იგზავნებოდა მიმდინარე სააღრიცხვო პერიოდის დასასრულს ან მისი ვადის გასვლის შემდგომ, რაც ობიექტურად, ხოლო რიგ შემთხვევებში გამიზნულად იძლეოდა დანაშაულის ამა თუ იმ საანგარიშო პერიოდისადმი მიკუთვნებით მანიპულირების შესაძლებლობას;


დაუყოვნებლივ ივსება წინასწარი გამოძიების დაწყებისთანავე და 72 საათის განმავლობაში იგზავნება ინფორმაციული უზრუნველყოფისა და ანალიზის სამმართველოში

დ) სუბიექტივიზმი (იმ დროისათვის არსებული აღრიცხვა-გაანგარიშების მექანიზმები და პროცედურები იძლეოდა დანაშაული/გახსნის პროცენტით ამა თუ იმ დანაყოფის სასარგებლოდ ლავირების საშუალებას)...

➢მთლიანობაში კი, დასახელებული და სხვა მიზეზების ერთობლიობა გარკვეული ხარისხით ამახინჯებდა რეალურად არსებულ სურათს.

➢პარალელურად, 2011 წლის განმავლობაში, იუსტიციის სამინისტროს კოორდინირებით ინერგებოდა სისხლის ელექტრონული სამართალწარმოების პროექტის (crimcase) საპილოტო ვერსია, რომელიც ექსპლუატაციაში სრულფასოვნად შევიდა 2012 წლის პირველი იანვრიდან, თუმცაღა შესაბამისი სტატისტიკური მოდული იმ მომენტისათვის სრულად არ იყო ამოქმედებული და მისი გამოყენებით ძიება შესაძლებელი იყო მხოლოდ ცალკეული პარამეტრების მიხედვით, რომელთა მეშვეობითაც შსს სტანდარტული სისხლისსამართლებრივი კონსოლიდირებული სტატისტიკური ფორმის დათვლა-დაანგარიშება ვერ ხერხდებოდა.



➢ვინაიდან, იმავე პერიოდში შეწყდა სააღრიცხვო ფორმების შევსება და საინფორმაციო ცენტრში გამოგზავნა, იმისათვის რათა სტატისტიკის წარმოება გაგრძელებულიყო, ჩვენს მიერ იუსტიციის სამინისტროდან ელექტრონული სახით სინქრონიზებულ იქნა ამისათვის აუცილებელი რიგი მონაცემები, თუმცაღა, რადგანაც სრულყოფილი სტატისტიკური დათვლისათვის საჭირო ყველა სტატუსი მოქმედ პროგრამულ უზრუნველყოფაში გათვალისწინებული თავიდანვე არ ყოფილა (მაგ: კვალიფიკაციის შეცვლა, საქმის გაერთიანება და ა.შ.), შესაბამისად, საინფორმაციო ცენტრის მიერ გამოქვეყნებული სტატისტიკა შეიცავდა გარკვეულ ხარვეზებს, რომელთა შესწორებაც FEEDBACK-ების (''უკუკავშირის'' სისტემის) მეშვეობით ხორციელდებოდა დანაყოფებიდან მოწოდებული შენიშვნების საფუძველზე.

შეტყობინება

№	საძებნი სისტემა	შეცდომა	შეტყობინების გაგზავნის თარიღი	პასუხი	მოპასუხე	პასუხის გაცემის თარიღი

№	საძებნი სისტემა	შეცდომა	გამომგზავნი	შეტყობინების გაგზავნის თარიღი
1	სისხლის სამართლის სტატისტიკა	შს ხელოს რაიონული სამმართველო –სს N 176240113001 საქმე, სსკ–ი...	გურამ ცეცხლაძე	2013-03-07
2	სისხლის სამართლის სტატისტიკა	ანალოგიურად შესაწორებელია იანვარ-თებერვალიც	ზაზა შერვაშიძე	2013-03-06



რეგისტრირებული დანაშაულის სტატისტიკა

[02-01]-დან [02-28]-მდე

სულ საქართველო

№	1		2012 წელი			2013 წელი			დანაშაულის მაგალითები	
			სულ რეგისტრირებული	განმარტა	განმარტის %	სულ რეგისტრირებული	განმარტა	განმარტის %	+/- რაოდენობა (ინდექსი)	+/- ზრდის (%-ში)
			2	3	4	5	6	7	8	9
1	სულიერი ჯანმრთელობა		3300	710	21.52%	3819	828	21.68%	+519	+15.73%
2	დანაშაული ოჯახისა წინააღმდეგ (მ. 108-116)		-	-	-	185	18	9.73%	-	-
3	1	განზრახ მკვლელობა მ. 108	3	2	66.67%	8	5	62.5%	+5	+166.67%
4	2	განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებებში მ.109	-	-	-	2	1	50%	-	-
5	3	მკვლელობის მკვლელობა მ. 19-108	14	8	57.14%	14	10	71.43%	0	0%
6	3	მკვლელობის მკვლელობა მ. 19-109	-	-	-	1	1	100%	-	-
7	4	თვითმკვლელობაზე შეგულიანება მ. 115	-	-	-	143	0	0%	-	-
8	5	სხვა დანაშაული მ.110, 111, 112, 113, 114, 116	-	-	-	17	1	5.88%	-	-
9	დანაშაული კანმრთელობის წინააღმდეგ (მ. 117-128[1])		-	-	-	361	41	11.36%	-	-
10	1	კანმრთელობის განზრახ მძიმე დამაზიანება მ. 117	4	2	50%	5	3	60%	+1	+25%
11	2	ნაკლებ მძიმე მძიმე მ. 117-II-VIII ნაწ.	-	-	-	0	0	0%	-	-
12	3	კანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დამაზიანება მ. 118	-	-	-	169	2	1.18%	-	-
13	4	ოჯახური ძალადობა მ. 126[1]	-	-	-	30	7	23.33%	-	-
14	5	სხვა დანაშაული მ. 120-126	-	-	-	157	29	18.47%	-	-
15	ადამიანის ოჯახისა და კანმრთელობისათვის საფრთხის შექმნა (მ.127-136)		-	-	-	1	0	0%	-	-
16	დანაშაული სქესობრივ თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ (მ. 137-143)		-	-	-	15	6	40%	-	-
17	1	გაუპატიურება მ. 137	5	2	40%	3	2	66.67%	-2	-40%
18	2	სხვა დანაშაული მ. 138-141	-	-	-	12	4	33.33%	-	-
19	დანაშაული ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ (მ. 142-170)		-	-	-	71	7	9.86%	-	-
20	1	ადამიანების ვაჭრობა ოჯეფი მ. 143[1], 143[2]	15	2	13.33%	11	2	18.18%	-4	-26.67%
21	2	ტრეფიკინგი მ. 143[3], 143[4]	2	0	0%	1	0	0%	-1	-50%
22	3	ბავშვთა ხელშეწყობა მ. 144	0	0	0%	0	0	0%	0	0%

2013-03-09

1

➢მიუხედავად ამისა, იუსტიციის სამინისტროდან მიღებული საბაზისო მონაცემების არასრულყოფილების გამო (მაგ: საქმეში ახალი მუხლის გაჩენისას შეუძლებელი იყო გამიჯვნა, ხდებოდა ახლად გამოვლენილი დანაშაულის დამატება თუ ძველი კვალიფიკაციის შეცვლა), კორექტულობის შესაბამისი ხარისხის მიღწევა ვერ მოხერხდა. აქედან გამომდინარე, ძველი სახით სტატისტიკის წარმოების პარალელურად ჩვენს მიერ დასმულ იქნა ამოცანა ახალი კონსოლიდირებული სტატისტიკური ფორმის შექმნის შესახებ, რომლის ტექნიკური რეალიზებაც განხორციელდა იუსტიციის სამინისტროს მიერ.

- ამასთან, თვისობრივად თავიდან გადამუშავდა მეთოდოლოგია და გაანგარიშების ძირითადი პრინციპები. თუმცაღა, რჩება ზოგიერთი ტიპის არაორდინალური საკითხი, რომელთა ცალსახა რეგლამენტაციაც სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით არაა რეგულირებული (მაგ: საქმის გადაგზავნა რაიმე სახის პროცესუალური დოკუმენტით არ ფორმდება, საქმის გამოყოფის შემთხვევათა საფუძვლების ამომწურავი ჩამონათვალი დადგენილი არ არის (პირის მიმართ, ფაქტის მიმართ თუ შერეული წესით) და ა.შ.)



სისხლის სამართლის სტატისტიკის

მეთოდოლოგია

როგორც თქვენთვის ცნობილია, "სისხლის სამართლის სტატისტიკის უწყებათაშორისი მემორანდუმის" (http://www.justice.gov.ge/files/Departments/Analytical/Georgia/ MoU_Statistics.pdf) ფარგლებში და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს კოორდინირებით ხორციელდებოდა ელექტრონული სისხლის სამართალწარმოების ახალი პროგრამული უზრუნველყოფისა (crimcase) და სტატისტიკური მოდულის შექმნა-დანერგვის სამუშაოები. პროგრამულმა უზრუნველყოფამ (crimcase) ფუნქციონირება დაიწყო 2012 წლის 1 იანვრიდან, თუმცაღა სტატისტიკური მოდული სწყვეტ ეტაპზე სრულად არ იყო ამოქმედებული და მისი გამოყენებით ძიება შესაძლებელი იყო მხოლოდ ცალკეული პარამეტრების მიხედვით, რომელთა მეშვეობითაც შსს სტანდარტული სისხლისსამართლებრივი კონსოლიდირებული სტატისტიკური ფორმის დათვლა-დაანგარიშება ვერ ხორციელდებოდა.

ვინაიდან, იმავე პერიოდიდან შეწდა სააღრიცხვო ფორმების შევსება და საინფორმაციო ცენტრში გამოგზავნა, იმისათვის რათა სტატისტიკის წარმოება გაგრძელებულიყო, ჩვენს მიერ იუსტიციის სამინისტროდან ელექტრონული სახით სინქრონიზებულ იქნა ამისათვის აუცილებელი რიგი მონაცემები, თუმცაღა, რადგანაც სრულყოფილი სტატისტიკური დათვლისათვის საჭირო ყველა სტატუსი მოქმედ პროგრამულ უზრუნველყოფაში გათვალისწინებული თავიდანვე არ ყოფილა (მაგ: კვალიფიკაციის შეცვლა, საქმის გაერთიანება და ა.შ.), შესაბამისად საინფორმაციო ცენტრის მიერ გამოქვეყნებული სტატისტიკაც შეიცავდა გარკვეულ ხარვეზებს, რომელთა შესწორებაც FEEDBACK-ების შეშვეობით, ანუ ჩვენს მიერ აწყობილი მესიჯინგის სისტემით ხორციელდებოდა დანაკლოფებიდან მონოდებული შენიშვნების საფუძველზე.

მიუხედავად ამისა, იუსტიციის სამინისტროდან მოწოდებული საბაბისი მონაცემების არასრულყოფილების გამო, კორექტულობის შესაბამისი ხარისხის მიღწევა ვერ მოხერხდა. აქედან გამომდინარე, ძველი სახით სტატისტიკის წარმოება ჩვენს მიერ დროებით შეწყდა და დასმული იქნა ამოცანა ახალი კონსოლიდირებული სტატისტიკური ფორმის შექმნის შესახებ, რომლის ტექნიკური რეალიზებაც იუსტიციის სამინისტროს მიერ ამ ეტაპისათვის პრაქტიკულად დასრულებულია.

ამასთან, ვინაიდან სისხლის სამართლის სტატისტიკას გააჩნია საკმაოდ რთული ბუნება, შესაძლო გაუგებრობების თავიდან აცილების მიზნით, წარმოგიდგენთ განმარტებებს დათვლა-გაანგარიშების მეთოდოლოგიურ ნაწილთან დაკავშირებით:

➢შესაბამისად, ყველა გამონაკლისი შემთხვევისათვის, სათანადო პროცედურა და სტატუსი CRIMCASE-ში აპრიორი გათვალისწინებული ვერ იქნებოდა. აქედან გამომდინარე, სტატისტიკისათვის აუცილებელი პროცესუალური მოქმედებების დაფიქსირების მიზნით, შემოღებულია რიგი პირობითი პარამეტრებისა და იმავდროულად, ხარვეზის გამოვლენის პარალელურად, პროგრამული უზრუნველყოფის ფუნქციონალსა და ალგორითმის ლოგიკაში, ხორციელდება შესაბამისი ტიპის ცვლილებები და კორექცია.



PRE #29140	ქურდობის დაქტი ნაქაძის ქუჩაზე	10.10.2012	აქტიური	28.10.2012
PRE #29138	zarcva 12	05.10.2012	აქტიური	08.10.2012
PRE #29137	yachagoba111	09.10.2012	აქტიური	08.10.2012
PRE #29136	ქურდობა	08.10.2012	აქტიური	08.10.2012
PRE #29134	xxx		აქტიური	08.10.2012
PRE #29133	mkvleloba		აქტიური	05.10.2012
PRE #29132	werasersdf		აქტიური	05.10.2012
PRE #29130	qurdoba		აქტიური	05.10.2012
PRE #29129	QURDOBA		აქტიური	05.10.2012
PRE #29128	ჯნ ლოაჯნ ჯდ		აქტიური	05.10.2012
PRE #29127	ყგტეფბცსეშყ		აქტიური	05.10.2012
PRE #29126	ქურდობა		აქტიური	05.10.2012
PRE #29125	YGYGJYCGAGC	05.10.2012	აქტიური	05.10.2012
PRE #29124	qurdoba		აქტიური	05.10.2012
PRE #29123	qurdoba		აქტიური	05.10.2012
PRE #29122	qordoba		აქტიური	05.10.2012
PRE #29121	qurdoba		აქტიური	05.10.2012
PRE #29120	narkotikebi		აქტიური	05.10.2012

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 ... Page size: 20

1594 items in 80 pages



რეკომენდაციები

(სისხლის სამართალწარმოების ელექტრონული პროგრამა - "CRIMCASE")

როგორც მოგეხსენებათ, 2013 წლის იანვრის თვის სისხლის სამართლის სტატისტიკის დოფილ-გაანგარიშება განხორციელდა თვისობრივად გადამუშავებული ბეთოფილოგიისა და სისხლის სამართალწარმოების ელექტრონული პროგრამული უზრუნველყოფის ("CRIMCASE") მონაცემებზე დაყრდნობით. ამდენად, საგამოძიებო და სასამართლო ორგანოების მხრიდან ფულადსაფული პროგრამის გამოყენების ინტერესის ზეგანაწყენი დაცვა, რათა თავიდან იქნა ფულადსაფული დასაბალეტული მიზეზით გამოწვეული შესაძლო ხარვეზები და ფუჭტანები.

აქედან გამომდინარე, წარმოგიდგენთ პროგრამის მიმმართველია მიერ დამუშავებული ტიპური შეცდომებისა და ხარვეზების ჩამონათვალს და მათი აღმოფხვრისათვის საჭირო რეკომენდაციებს (ახლავე ქვემოთ), რომელიც გაანალიზებული და მეშუამავლები იქნა საჭიროებელ ინტერესის სამინისტროს საგაანალიზებელი დანაფიერის მიერ და რომელიც გამოსაყენებელ სამინისტროდ პირდაპირ ანსახება დასანაკარგებელი მონაცემების კორექტულობის ხარისხზე.

შს სამინისტროს ეკონომ.

"2012 წლის 1 იანვრიდან ამოქმედებულმა სტატისტიკის მოდელი. სტატისტიკის მოდელის ამოქმედება და ეფექტურებელია რიგ ცვლილებებთან, რომელთა ზეგანაწყენი დიდი პროგრამირების (გამომძიებლების) მიერ სასაყოფლოდ მნიშვნელოვანია ამ პროგრამის შემობამოთვის

ეკრანიდან: 2012 წლის 1 იანვრიდან სისხლის სამართლის საქმის წარმოების პროგრამაში შემობამის პროგრამირების და გამომძიებლის მხრიდან გათვალისწინებული ფრიდა ოქმის შემდეგი ელემენტები:

1. საქმეზე ოფიციალის მონაცემების შეტანა ეზოდა მოხდეს სრულყოფილად (სახელი, გვარი, ასაკი, სქესი, მოქალაქეობა, განათლება, ოჯახური მდგომარეობა, შემობალელი, ნასამართლეობა, საქმიანობა, საკუთრებელი ადგილი, საკონტაქტო მონაცემები, ეს ინფორმაციაც ეზოდა ეზოდა მოხდეს დამატებით მონაცემების შეტანა წარმომადგენლებს სამოქალაქო ტიპიერ ეზოდა მოხდეს მონაცემების გადმოტანა და ა.შ); ასევე ფუტალურად ეზოდა შეიქმნა მონაცემები ნოდოების და ა.ფ. ადგილები დარეგისტრირებული ოფიციალებს.
2. სისხლის სამართლის საქმეებზე, რომელშიც ეზოდა მიმდინარეობს ელექტრონული. რაც საჭიროებელი დოკუმენტების შეტანა ეზოდა მოხდეს პროგრამაში, ეკრანი ამ შემთხვევაში.

➢ გარდა ამისა, არც თუ იშვიათია საგამოძიებო ორგანოების მიერ პროგრამის არასწორად გამოყენების ფაქტები (მაგ: ბრალის დადგენილებით ნაწილში მუხლის დაფიქსირების შემდეგ პროგრამის შესაბამისი ველიდან მისი წაშლა და ა.შ.), რის აღმოსაფხვრელადაც იუსტიციის სამინისტროს მიერ, ჩვენი თხოვნით, შემუშავებულ იქნა რეკომენდაციები, რომელიც დაეგზავნა როგორც პროკურატურის სათანადო ორგანოებს, ასევე შსს საინფორმაციო პორტალის (WWW.POL.GE/ICMIA) მეშვეობით ეცნობა შს სამინისტროს შესაბამის დანაყოფებს.



➢ამასთან ერთად, გასათვალისწინებელი და ყურადსაღებია, რომ სხვადასხვა მეთოდოლოგიით გაანგარიშებული ერთგვაროვანი საანგარიშო პერიოდების მონაცემთა პირდაპირი ურთიერთშედარება თეორიულად მიზანშეწონილი არ არის და გარკვეულ ფარგლებში ყოველთვის ამახინჯებს სურათს მატება-კლების დინამიკისა და ტენდენციების შესახებ.



ძველი მეთოდოლოგია

ახალი მეთოდოლოგია



- მეტი თვალსაჩინოებისათვის, ხსენებულ კონტექსტში შეიძლება გამოიყოს რამდენიმე ტიპიური შემთხვევა, კერძოდ:

ა) წარმოებით შეწყვეტილი სისხლის სამართლის საქმეები, მიუხედავად შეწყვეტის საფუძვლისა, ადრინდელი ტიპის სტატისტიკურ რაპორტში არ აისახებოდა.

ბ) საქმის გახსნილად გამოცხადების ერთადერთ საფუძველს ბრალის წარდგენის შესახებ დადგენილება წარმოადგენდა, თუმცაღა, იმ დროისათვის მოქმედ სააღრიცხვო სისტემას არ გააჩნდა ბრალის კომპონენტის გარეშე საქმის გახსნილად ჩათვლის მექანიზმი, ამიტომ, რათა არ მომხდარიყო გაუხსნელი საქმეების რიცხვის გაუმართლებელი გაზრდა, ასეთი დანაშაულების ერთიანი კონსოლიდირებული რაპორტის ფორმაში გათვალისწინება საერთოდ არ ხორციელდებოდა.



- დღეის მდგომარეობით, ელექტრონულ სააღრიცხვო სისტემაზე გადასვლამ მოგვცა აღნიშნული მეთოდოლოგიური ხარვეზის გამოსწორების საშუალება, შესაბამისად, ნებისმიერი ისეთი საფუძვლით შეწყვეტილი სისხლის სამართლის საქმე, რომელიც დანაშაულს არ გამორიცხავს (პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილება, განრიდება, მედიაცია, ქმედითი მონანიება, ბრალის არარსებობა...), მიმდინარე კონსოლიდირებული სტატისტიკური ანგარიშისათვის უკვე წარმოადგენს სააღრიცხვო ობიექტს. ასეთმა მიდგომამ, ერთის მხრივ ცხადია გამოიწვია საანგარიშო ფორმებში ასახული დანაშაულის რაოდენობრივი მაჩვენებლების მატება, თუმცა, მეორეს მხრივ უზრუნველყო აღრიცხვიანობის სისრულე და სიზუსტე და მაქსიმალურად დაუახლოვა რეალობას.





➢ამდენად, ამ ეტაპზე საქართველოში უკვე სრულფასოვნად ფუნქციონირებს სისხლის სამართალწარმოების ერთიანი ელექტრონული სისტემა (CRIMCASE), რომლის განვითარების დონე იძლევა მონაცემთა ვიზუალიზაციის ფორმებისა და მეთოდების შედგომი დახვეწა-გაუმჯობესების შესაძლებლობას. აღნიშნული მით უფრო მნიშვნელოვანია, რომ სისხლის სამართლის ზოგადი პოლიტიკის შემუშავებისა და წარმართვის კუთხით ერთ-ერთი უმთავრესი კომპონენტი სწორედ სხვადასხვა სახის კრიმინოლოგიური კვლევებია, რომლებიც იძლევიან მრავალი ნიშნით სორტირებულ სტატისტიკურ მახასიათებლებს არსებული კრიმინოგენური მდგომარეობის შესახებ, რაც თავის მხრივ აუცილებელი მდგენელია როგორც დანაშაულთან ბრძოლის ერთიანი სტრატეგიის, ასევე ცალკეული კატეგორიის სამართალდარღვევათა წინააღმდეგ მაქსიმალურად ეფექტური ტაქტიკური ხერხების განსაზღვრისა და წარმოებისათვის.



➢როგორც წესი, განასხვავებენ მონაცემთა ასახვის 3 ძირითად ფორმას - ტექსტური რაპორტი, ცხრილის სახით ან სქემატურ-გრაფიკული. ამასთან, ვინაიდან მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი შეუქცევადად ვითარდება, ბოლო პერიოდში სულ უფრო ფართო გამოყენება სწორედ მე-3 მეთოდმა ჰპოვა, რომელიც ციფრების სახით სისტემატიზირებული მონაცემების თვალსაჩინოდ, ინტუიტიურ დონეზე აღქმის შესაძლებლობას იძლევა.



➢აღნიშნულ კონტექსტში, დიდი პოპულარობით სარგებლობენ სისხლის სამართლის სტატისტიკისა და კრიმინალური სიტუაციის ამსახველი ინტერაქტიული რუქები, რომელთაც აქვთ სხვადასხვა სახის მონაცემთა რეალურ დროში გენერირების შესაძლებლობა. დღევანდელი მდგომარეობით, მათი ინტენსიური გამოყენების პრაქტიკა



აპრობირებულია როგორც წამყვან დასავლეთ-ევროპულ ქვეყნებში, ასევე ამერიკის კონტინენტის რიგ სახელმწიფოებში (აშშ, კანადა, მექსიკა...).

➢ასეთი ტიპის რუქების დიდი უპირატესობაა მათი მოხერხებულობა, ვინაიდან იძლევიან, როგორც მთლიანად ქვეყნის, ასევე კონკრეტული რეგიონის მასშტაბით ყველა კატეგორიის დანაშაულის (ერთად ან/და ცალ-ცალკე), მათი მატება-კლების, გახსნის პროცენტულობის, სეზონური რხევების დინამიკის, ე.წ. "კრიმინოლოგიური დანაგვიანების ზონების" და სხვა მთელი რიგი ფაქტორების ნათლად ილუსტრირების შესაძლებლობას, რაც თავის მხრივ დანაშაულთან ბრძოლის დაგეგმარების, არსებული მატერიალური თუ ადამიანური რესურსების ოპტიმალურად გადანაწილებისა და დანაშაულის ზოგადი პრევენციის ერთ-ერთი საუკეთესო მეთოდოლოგიური ინსტრუმენტია.



➢აღსანიშნავია, რომ სისხლის სამართალწარმოების ერთიანი ელექტრონული სისტემის (CRIMCASE) განვითარების მეორე ეტაპად უკვე მოაზრებული და დაგეგმილია ზემოაღწერილი ინტერაქტიული ტიპის კრიმინოლოგიური რუქის შექმნა, რისი შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის სამუშაოებიც იუსტიციის სამინისტროს სათანადო დანაყოფის მიერ უკვე განხორციელებულია, ხოლო პროექტის პრაქტიკული რეალიზაცია დაიწყება შსს საგამოძიებო ორგანოების GPS პოზიციონირების მოწყობილობებით აღჭურვისთანავე.



➢პროექტის საპილოტო ფაზის დასრულებისთანავე მიზანშეწონილი იქნება საგამოძიებო მოქმედებების განმახორციელებელი სახელმწიფო უწყებების ყველა დანაყოფის აღნიშნულ სისტემაში ინტეგრირება, რისი საბოლოო მიზანიცაა ქვეყნის მასშტაბით ერთიანი და ეფექტური სისხლის სამართლის სტატისტიკური აღრიცხვიანობის უზრუნველყოფა.

ამრიგად, კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, რომ წინა წლებისაგან განსხვავებით, ახალი ერთიანი სააღრიცხვო სტატისტიკური მოდულისა და სისხლის სამართალწარმოების ელექტრონული სისტემების მეშვეობით მინიმუმამდეა დაყვანილი დანაშაულის ლატენტურობის ხარისხი, ხოლო სტატისტიკურ ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია კომპილირდება და სისტემატიზირდება თვისობრივად გადამუშავებული მეთოდოლოგიური საფუძვლების გამოყენებით, რაც თავის მხრივ, ინფორმაციის მაქსიმალური სისრულიდან და სიზუსტიდან გამომდინარე, ზრდის რეგისტრირებული დანაშაულის საერთო რაოდენობას. მაგალითისათვის, მხოლოდ შეწყვეტილი, ანუ იმ კატეგორიის სისხლის სამართლის საქმეთა ხვედრითი წილი საერთო რაოდენობაში, რომელიც ადრინდელ ანგარიშში არ ხვდებოდა, ხოლო მიმდინარე რაპორტში უკვე აღირიცხება, საშუალოდ, რეგისტრირებული მონაცემის 5-6%-ს წარმოადგენს და შესაბამისად, ამ თანაფარდობით ზრდის კიდეც დანაშაულის რიცხვს. აქედან გამომდინარე, მხედველობაში განსაკუთრებულად მისაღებია, რომ სხვადასხვა მეთოდოლოგიით გაანგარიშებული ერთგვაროვანი საანგარიშო პერიოდების მონაცემთა პირდაპირი ურთიერთშედარება თეორიულად მიზანშეწონილი არ არის და არსებული ტენდენციებისა და დინამიკის ცალსახა ინდიკაციას ვერ იძლევა.

გმადლობთ

ყურადღებისთვის!